საქართველოში და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ სტუდენტებში კონტაქტის ჰიპოთეზისა და წინარწმენის შემოწმება განსხვავებული რელიგიური ჯგუფებისა და სექსუალური უმცირესობების მიმართ: მუსლიმებისა და კათოლიკეების და ჰომოსექსუალების მაგალითზე

ანა ხუბუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ხუბუა

20.06.2022

აბსტრაქტი

დღესდღეობით, წინარწმენა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც მკვლევრების მხრიდან დიდი დაინტერესებით სარგებლობს. სწორედ წინარწმენის „პროდუქტებად“ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა რასიზმი, სექსიზმი, დისკრიმინაცია, სტერეოტიპები სხვადასხვა ჯგუფისა და ადამიანის მიმართ. მისი გამომწვევი მიზეზების, შედეგებისა და პრევენციის გზების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთ-ერთი ცენტრალური თეორია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს წინარწმენის შემცირების გზებზე არის გორდონ ოლპორტის კონტაქტის ჰიპოთეზა, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ გარე-ჯგუფებთან ხშირმა და თანაბარ-სტატუსიანმა კონტაქტმა, შესაძლოა, გამოიწვიოს წინარწმენის დონის შემცირება. კვლევები მეტყველებს, ასევე, იმაზე, რომ საზღვარგარეთ სწავლისა და ცხოვრების გამოცდილება დადებითად აისახება წინარმწმენის დონის შემცირებაზე, რაც განპირობებულია იმით, რომ სტუდენტებს, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ, ხშირი კონტაქტი აქვთ გარე-ჯგუფის წარმომადგენლებთან. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, მონაცემები შეგროვდა 102 რესპოდენტისგან და დამუშავდა კორელაციური და კვაზი-ექსპერიმენტული დიზიანის გამოყენებით. მასში მონაწილეობდნენ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი სტუდენტები და იგი მიზნად ისახავდა იმის დადგენას, კავშირშია თუ არა ხშირი კონტაქტი ჰომოსექსუალების, კათოლიკებისა და მუსლიმების მიმართ წინარწმენის დონესთან, და არის თუ არა სხვაობა საზღვარგარეთ და საქართველოში მცხოვრებ სტუდენტებს შორის წინარწმენის დონის მიხედვით. მონაცემების ანალიზის საფუძველზე, დადასტურდა კავშირი წინარწმენასა და კონტაქტის სიხშირეს შორის სამივე ჯგუფისთვის. გამოვლინდა, ასევე, განსხვავებები წინარწმენის დონის მიხედვით საქართველოში და საზღვარგარეთ მცხოვრებ სტუდენტებს შორის, ორი ჯგუფის მუსლიმებისა და ჰომოსექსუალების შემთხვევაში. კათოლიკეების მიმართ ჯგუფთაშორისი, სტატისტიკურად

მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლენილა. და ბოლოს, გამოვლინდა, რომ სხვადასხვა გარე ჯგუფისადმი წინარწმენის დონე ერთმანეთისგან განსხვავდება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: წინარწმენა, კონტაქტის ჰიპოთეზა, საზღვარგარეთ სწავლა, დისკრიმინაცია.

Abstract

Nowadays, prejudice is one of the most interesting and important issues that has great interest of researchers. Factors such as racism, sexism, discrimination, stereotypes about different groups and people, can be considered as "products" of prejudice. There are differences of opinion about its causes, consequences and ways of prevention. One of the central theories that focuses on ways to reduce prejudice is the Gordon Allport contact hypothesis, the essence of which is that frequent and equal-status contact with outside groups may lead to a decrease in the level of prejudice. Studies also show that the experience of studying and living abroad has a positive effect on reducing the level of prejudice, which is due to the fact that students who study abroad have frequent contact with members of the external group. In the present study, data were collected from 102 respondents and processed using correlation and quasi-experimental design. It was attended by Georgian students living in both Georgia and abroad, and aimed to determine whether frequent contact with homosexuals, Catholics, and Muslims was related to the level of prejudice between students living abroad and in Georgia. Based on data analysis, a correlation was found between prejudice and contact frequency for all three groups. Differences in the level of prejudice between students living in Georgia and abroad were also identified in the case of two groups of Muslims and homosexuals. There were no statistically significant differences between groups in relation to Catholics. Finally, it was found that the levels of prejudice against different external groups differ from one another.

Keywords: Prejudice, Contact Hypothesis, Religious Minorities, Sexual Minorities, Study Abroad